საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გადაწყვეტილება

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ია გაბედავა – კოლეგიის თავმჯდომარე

არჩილ ჩოფიკაშვილი – კოლეგიის წევრი

ბესარიონ ბოხაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ს. მ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 09.03.2021

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 008/21

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ დ. გ.-ის /სიითი №/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ დ. გ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2021 წლის 09 მარტს სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ს. მ.-მ და მოითხოვა ადვოკატ დ. გ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2008 წელს იმყოფებოდა უკანონო პატიმრობაში და ბრალად ედებოდა სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით განსაზღვრული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა. საჩივრის ავტორის განცხადებით, ამავე პერიოდში წარმოეშვა სამოქალაქო სამართლებრივი დავა, რაც ეხებოდა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მდებარე: ქ. თბილისი, ზ.-ის ქუჩა N---, ს/კ --- აუქციონზე რეალიზაციასა და გამოსახლებას.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, სისხლის სამართლის საქმეზე მის ინტერესებს იცავდნენ ადვოკატები ვ. ტ. და ა. ტ., ხოლო სამოქალაქო საქმეზე საადვოკატო მომსახურების მისაღებად, დედამისის - ს. მ.-ს დახმარებით, მიმართა ადვოკატ დ. გ.-ს, რომელიც ს. მ.-ს დაუხასიათეს, როგორც მაღალკვალიფიციური იურისტი.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატ დ. გ.-ს შეხვდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ქალთა N--- პენიტენციურ დაწესებულებაში, გააცნო მას სამოქალაქო საქმის დეტალები და შეიმუშავეს სამოქმედო სტრატეგია, რა დროსაც ადვოკატი დაპირდა, რომ ბინა კვლავ მის საკუთრებაში დარჩებოდა. ს. მ.-ის განმარტებით, სრულად გადაუხადა ადვოკატს ჰონორარი - 400 აშშ დოლარის ოდენობით.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი დ. გ. საკუთარი ინიციატივით ჩაერთო სისხლის სამართლის საქმეში, ვინაიდან, მისი განმარტებით, სისხლის სამართლის საქმეში მონაწილეობა დაეხმარებოდა სამოქალაქო დავის წარმოებაში.

1.6 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა დ. გ.-მა არ შეასრულა მასზე დაკისრებული მოვალეობები და არც სისხლის და არც სამოქალაქო საქმეში სათანადოდ არ დაიცვა კლიენტის ინტერესები.

1.7 ს. მ.-ის განცხადებით, ადვოკატი სისხლის სამართლის საქმეში მონაწილეობდა ფორმალურად. კერძოდ, ადვოკატი ესწრებოდა სასამართლო პროცესს, თუმცა ის არ აყენებდა შუამდგომლობებს, არ მონაწილეობდა პაექრობასა და მოწმეთა გამოკითხვაში და კლიენტის სასარგებლოდ არ ახორციელებდა საპროცესო მოქმედებებს.

1.8 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატის მონაწილეობა სამოქალაქო საქმეში შემოიფარგლა ფინანსთა სამინისტროს სახელზე განცხადების დაწერით, კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ ადვოკატს სხვა საპროცესო მოქმედებები არ განუხორციელებია.

1.9 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა არ აწარმოა სამოქალაქო საქმე; გულგრილად მოეკიდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას და არ მოითხოვა კლიენტის ხელმოწერის კალიგრაფიული ექსპერტიზა, რის გამოც ს. მ.-ის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება 2009 წლის 06 ოქტომბერს, ყალბი დოკუმენტების საფუძველზე გაიყიდა იძულებით აუქციონზე. საჩივრის ავტორის განმარტებით, 2021 წელს დადგინდა მისი ხელმოწერის სიყალბე და აღნიშნული გარემოების გამო გადაწყვიტა მოემართა ეთიკის კომისიისათვის.

1.10 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატ დ. გ.-ის უმოქმედობის გამო, დაკარგა ბინა და დაეკისრა სახელმწიფო ბაჟისა და აღსრულების ეროვნული ბიუროს აღსრულების საფასურის გადახდა, რის შესახებაც შეიტყო სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროსაგან მიღებული 2016 წლის 05 აპრილის შეტყობინებით N11023376-009/001.

1.11 ს. მ.-ის პოზიციით, 2021 წელს ადვოკატის მხრიდან სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე მომართა ეთიკის კომისიას და მისი მხრიდან დაცულია დისციპლინური საქმისწარმოების ხანდაზმულობის ვადა. საჩივრის ავტორი

ითხოვს ადვოკატ დ. გ.-ის დისციპლინირებასა და გადახდილი ჰონორარის - 400 აშშ დოლარის დაბრუნებას.

2. საჩივრის ავტორის მოწმის ვ. ტ.-ს პოზიცია:

2.1 2021 წლის 27 ოქტომბერს, მოწმე ვ. ტ.-მ, ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, სადაც მიუთითა, რომ საჩივრის ავტორს საჯარო სამსახურში მუშაობის პერიოდიდან იცნობდა და ს. მ.-ს ადვოკატ ა. ტ.-სთან ერთად უწევდა საადვოკატო მომსახურებას სისხლის სამართლის საქმეში.

2.2 მოწმის განმარტებით, სისხლის სამართლის საქმისწარმოებისას ს. მ.-ს შეექმნა პრობლემა მის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე, რასთან დაკავშირებითაც ს. მ.-ის დედამ მიმართა ადვოკატ დ. გ.-ს, რომელსაც გააჩნდა სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაცია.

2.3 მოწმის განმარტებით, ს. მ.-საგან მიიღო ინფორმაცია, რომ ადვოკატი დ. გ. სისხლის სამართლის საქმის სასამართლო პროცესებსაც დაესწრებოდა, რადგან საქმის განხილვისას მიღებული ინფორმაცია შესაძლოა დახმარებოდა სამოქალაქო საქმისწარმოებაში.

2.4 მოწმის განმარტებით, ადვოკატი დ. გ. ჩაერთო სისხლის სამართლის საქმის წარმოებაში, თუმცა არ ახორციელებდა ს. მ.-ის დაცვას, კერძოდ, არ აყენებდა შუამდგომლობებს და არ იძიებდა მტკიცებულებებს. მოწმე განმარტავს, რომ ადვოკატი ესწრებოდა სხდომებს და ისმენდა ინფორმაციას, რამდენჯერმე კითხვაც დაუსვა მოწმეს.

2.5 მოწმე განმარტავს, რომ ადვოკატ დ. გ.-ს სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში სისხლის სამართლის საქმისწარმოებაში მონაწილეობა არ მიუღია.

2.6 მოწმის განმარტებით, განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, ის კვლავ ეხმარებოდა ს. მ.-ს საკუთარი ინტერესების დაცვაში და კლიენტისაგან მიიღო ინფორმაცია, რომ გაყალბებული დოკუმენტების საფუძველზე დაკარგა უძრავი ქონება. კლიენტი უკმაყოფილებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ დ. გ. სათანადოდ არ იცავდა მის ინტერესებს და მთლიანად შეწყვიტა ს. მ.-სთან კომუნიკაცია.

2.7 მოწმის განმარტებით, ს. მ.-მ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ყოფნისას, გაყალბებული დოკუმენტაციის საფუძველზე გასხვისებული ქონება, რა დროსაც მის ინტერესებს იცავდა ადვოკატი დ. გ., დღემდე ვერ დაიბრუნა.

3. ადვოკატის ახსნა-განმარტება:

3.1 2021 წლის 30 მარტს ადვოკატმა დ. გ.-მა ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, სადაც განმარტა, რომ ს. მ.-ის საჩივარი არის უსაფუძვლო, დაუსაბუთებელი და არ უნდა დაკმაყოფილდეს. ადვოკატი დაესწრო 2021 წლის 20 სექტემბრის საპროცესო კოლეგიის სხდომას.

3.2 ადვოკატის განმარტებით, 2008 წელს მიმართა ს. მ.-მ სისხლის სამართლის საქმეზე მისი ქალიშვილის - ს. მ.-ის ინტერესების დაცვის თხოვნით. ს. მ. იყო დაკავებული და ბრალი ედებოდა თაღლითობაში.

3.3 ადვოკატის განმარტებით, ინფორმირების მიზნით დაუკავშირდა ადვოკატ ვ. ტ.-ს, ვინც სისხლის სამართლის საქმეში წარმოადგენდა ს. მ.-ის ადვოკატს, რის შემდეგაც ს. მ.-ს შეუთანხმდა, რომ ს. მ.-ს გაუწევდა საადვოკატო მომსახურებას სისხლის სამართლის საქმეში.

3.4 ადვოკატის განმარტებით, მხარეთა შეთანხმებით, საადვოკატო მომსახურების საფასურად განისაზღვრა 600 ლარი, რაც სრულად გადაიხადა ს. მ.-მ.

3.5 ადვოკატის განმარტებით, საქმეში მისი ჩართვის დროს დასრულებული იყო წინასწარი გამოძიება და საქმისწარმოება მიმდინარეობდა სასამართლოში.

3.6 ადვოკატის განმარტებით, გაეცნო საქმის მასალებს, არანაკლებ სამჯერ შეხვდა კლიენტს ქალთა წინასწარი დაკავების იზოლატორში და მასთან ერთად შეიმუშავა სამოქმედო სტრატეგია; საქმის არსებითი განხილვის დროს მონაწილეობა მიიღო სასამართლო პროცესში, ხოლო განაჩენის გამოტანის შემდეგ, შესთავაზა კლიენტს სააპელაციო საჩივრის შედგენა, თუმცა ს. მ.-ის ნების შესაბამისად, საჩივარი შეადგინა ადვოკატმა ვ. ტ.-მ.

3.7 2021 წლის 20 სექტემბრის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა დ. გ.-მა განმარტა, რომ ს. მ.-ისათვის სამოქალაქო საქმეზე საადვოკატო მომსახურების გაწევა მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული არ ყოფილა.

3.8 ადვოკატის განმარტებით, მხარეთა შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის წარმოშობისას უკვე არსებობდა სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც გასხვისდა ს. მ.-ის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება. ადვოკატის განცხადებით, სამოქალაქო საქმეზე კლიენტთან ურთიერთობა შემოიფარგლა მისთვის კონსულტაციის გაწევით.

3.9 ადვოკატის განმარტებით, მან ყველაფერი გააკეთა კლიენტის ინტერესების დასაცავად; მოქმედებდა მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ვალდებულების ფარგლებში და მიიჩნევს, რომ ს. მ.-ის პრეტენზიები არის უსაფუძვლო და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

II სამოტივაციო ნაწილი

4. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

4.1 ადვოკატი დ. გ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - საერთო, ბავშვთა უფლებები.

4.2 ს. მ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2021 წლის 09 მარტს.

4.3 სადავო ქმედება განხორციელებულია 2008-2010 წლებში. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32.2 მუხლის შესაბამისად დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის ვადა.

5. შემაჯამებელი დასკვნა:

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ დ. გ.-ის მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და

„ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 22-ე მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლებით.

6. სამართლებრივი შეფასება:

6.1 საჩივრის ავტორის პრეტენზიით, ადვოკატმა დ. გ.-მა არაკეთილსინდისიერად გაუწია საადვოკატო მომსახურება, კერძოდ, არ აწარმოა სამოქალაქო საქმე და მხოლოდ ფორმალურად მონაწილეობდა სისხლის სამართლის საქმის წარმოებაში.

6.2 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ ყოველი კონკრეტული სადავო მოქმედების შეფასებისას მოწმდება საჩივრის შემოტანის ხანდაზმულობის ვადა. ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად: „ადვოკატის მიმართ დისციპლინური წარმოება შეწყდება, თუ მის მიერ სადავო ქმედების ჩადენიდან საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიისათვის მიმართვამდე გასულია 5 წელი.“ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, „დისციპლინური კოლეგია იღებს გადაწყვეტილებას დისციპლინური წარმოების შეწყვეტის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ საჩივრის შეტანის თარიღამდე გასულია კანონით დადგენილი ხანდაზმულობის ვადა.“

6.3 ს. მ.-მ ეთიკის კომისიას მომართა 2021 წლის 09 მარტს. მხარეთა ახსნა-განმარტებებისა და საქმეში წარმოდგნილი თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 28 მაისის სხდომის ოქმით (საქმე N---) დგინდება, რომ საჩივრის ავტორი, სადავოდ ხდის ადვოკატის მიერ 2008-2010 წელს განხორციელებულ მოქმედებებს, მაშინ როდესაც დ. გ. საადვოკატო მომსახურებას უწევდა ს. მ.-ს.

6.4 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტი წარმოადგენს პროცესუალურ ნორმას, რაც არის პრაქტიკული დანიშნულების მქონე წესი და განსაზღვრავს მატერიალური სამართლის ნორმით აღიარებული უფლების გამოყენების პროცესუალურ მექანიზმებს. მატერიალური სამართლის ნორმით დაცული სუბიექტური უფლების დაცვა ხორციელდება პროცესუალური ნორმების თანახმად, მაგრამ ეს ნორმები გავლენას ვერ ახდენს სუბიექტური უფლების მატერიალურ-სამართლებრივ ბუნებაზე. კონტინენტურ სამართალში დასაშვებია მხოლოდ ის საპროცესო მოქმედებები, რომელიც დადგენილია კანონმდებლობით და დაუშვებელია სუბიექტური დამოკიდებულებები პროცესუალური კანონმდებლობის განმარტებისას. შესაბამისად, განსხვავებით მატერიალური ნორმებისა, ეთიკის კომისია მოკლებულია შესაძლებლობას დამოუკიდებლად, განსხვავებულად განმარტოს საპროცესო ნორმებით დადგენილი სტანდარტები. ამასთან, ეთიკის კომისია განიხილავს დავას მხოლოდამხოლოდ ადვოკატის ქცევის ეთიკის კოდექსის ნორმებთან შესაბამისობის შესახებ და საპროცესო კოლეგია მოკლებულია შესაძლებლობას არსებითად გამოიკვლიოს ის ფაქტობრივი გარემოებები, რის გამოც საჩივრის ავტორმა ეთიკის კომისიას მომართა 2021 წელს, ხანდაზმულობის ვადის დარღვევით.

6.5 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ საქართველოში, ეთიკის კომისიისათვის მომართვისას, ხანდაზმულობის ვადა აითვლება ადვოკატის მიერ სადავო ქმედების ჩადენიდან და არა საჩივრის ავტორის მიერ ადვოკატის მხრიდან სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შესახებ ინფორმაციის მიღების მომენტიდან. გამომდინარე აქედან, განსხვავებით, სხვა კონტინენტური სამართლის ქვეყნებისგან, ქართული კანონმდებლობით დისციპლინურ წარმოებაში დადგენილია ხანდაზმულობის გაცილებით დიდი - 05 წლიანი ვადა. საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ არ იზიარებს ს. მ.-ის პოზიციას, რომლის მიხედვითაც დისციპლინურ წარმოებაში ხანდაზმულობის ვადის ათვლა უნდა იწყებოდეს ადვოკატის მხრიდან სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შესახებ ინფორმაციის მიღების მომენტიდან და განმარტავს, რომ 2021 წლის 09 მარტს ეთიკის კომისიისადმი საჩივრით მომართვისას ს. მ.-ის პრეტენზიები ადვოკატ დ. გ.-ის მიმართ ხანდაზმულია, ვინაიდან სადავო ქმედება ჩადენილია 2008-2010 წლებში და გასულია სადავო ქმედების ჩადენიდან ეთიკის კომისიისადმი მომართვისთვის დადგენილი ხანდაზმულობის 5 (ხუთ) წლიანი ვადა, რაც დისციპლინურ საქმეზე ხანდაზმულობის საფუძვლით წარმოების შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენს.

6.6 საჩივრის ავტორის პრეტენზიაზე, რომლის მიხედვითაც ს. მ. ითხოვს გადახდილი ჰონორარის დაბრუნების დაკისრებას ადვოკატზე, საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ აღნიშნული არ წარმოადგენს ეთიკის კომისიის კომპეტენციას. ეთიკის კომისია ვერ შევა სასამართლოს კომპეტენციაში და ვერ დაავალდებულებს ადვოკატს უკან დაუბრუნოს კლიენტს საადვოკატო მომსახურებისათვის გადახდილი საფასური. ეთიკის კომისია განიხილავს დავას მხოლოდამხოლოდ ადვოკატის ქცევის ეთიკის კოდექსის ნორმებთან შესაბამისობის შესახებ და არ არის უფლებამოსილი გადაწყვიტოს მხარეთა შორის წარმოშობილი სამოქალაქო სამართლებრივი დავა.

6.7 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და 33-ე მუხლით, „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-4 მუხლის 5-6 პუნქტებით, მე-19 მუხლით, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით, 31-ე მუხლით, მე-40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე 008/21 ადვოკატ დ. გ.-ის /სიითი №/ მიმართ შეწყდეს დისციპლინური წარმოება, მომართვის ხანდაზმულობის გამო.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ია გაბედავა/

კოლეგიის წევრი: /არჩილ ჩოფიკაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ბესარიონ ბოხაშვილი/